გრაფფიტი ურბანულ გარემოში

სტუდენტი – ნინო ბარნაველი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
ბაკალავრიატი, III კურსი

ხელმძღვანელი – მარიამ ხაბეიშვილი
არქიტექტურის დოქტორი, უფროსი მასწავლებელი

ურბანული სამყაროს სოციალური სემანტიკის რთულ იერარქიულ კომუნიკაციურ სისტემაში ქუჩის ხელოვნება (street-art) უკვე გახდა თანამედროვე საქალაქო კულტურის ფენომენი.

დღეს, საინფორმაციო ტექნოლოგიები განსაზღვრავენ ქუჩის ხელოვნების ყველაზე გავრცელებული და ცნობილი ჟანრის – გრაფფიტის ახალი ფორმების წარმოქმნას, რომლებიც თავის მხრივ, იყენებენ რა სივრცეს და არქიტექტურული ობიექტების ზედაპირებს, სთავაზობენ საზოგადოებას თვითიდენტიფიკაციის და კომუნიკაციის ახალ გზებს. შინაარსით და ხასიათით ეს სოციალური განწყობის ინდიკატორები გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენენ არქიტექტურაზე და ქალაქის ვიზუალური იერსახის ტრანსფორმაციაზე მთლიანობაში.

Graffiti in urban areas

Student – Nino Barnaveli
Georgian Technical University
Faculty of Architecture, Urban Planning and Design
Bachelor III year

Research director – Mariam khabeishvili
Architecture Ph.D., Senior Lecturer

ტექსტი ინგლისურად
Urban world of social communication semantics of complex hierarchical system of street art (street-art) has already become a modern urban culture phenomenon.
Today, the most common and well-known information technology define the shape the street art genre - graffitis the emergence of new forms, which in turn, will use the space and architectural surfaces, self-identification and communication offered to the public in new ways. The content and nature of the social mood indicators somewhat affect the architecture and the visual appearance of the overall transformation.

გრაფფიტი ურბანულ გარემოში

სტუდენტი: ნინო ბარნაველი
ხელმძღვანელი: მარიამ ხაბეიშვილი

ურბანული სამყაროს სოციალური სემანტიკის რთულ იერარქიულ კომუნიკაციურ სისტემაში ქუჩის ხელოვნება „Street art“ უკვე გახდა თანამედროვე საქალაქო კულტურის ფენომენი, რომლის ჟანრულ პალიტრაში ტრადიციულად შედის: გრაფფიტი, ტრაფარეტები, სტიკერები და პლაკატები, კედლის გრანდიოზული წარწერები, ვიდეო პროექცირება, სკულპტურული ინსტალაციები და ა.შ.

ტერმინი გრაფფიტი (იტალ. "graffito" ბერძ. "γραφειν") ისტორიულ მეცნიერებაში და ხელოვნებათმცოდნეობაში ტრადიციულად, ვიწრო მნიშვნელობით, უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლების, გამოქვაბულების კედლებზე, კლდეებზე და სხვა ზედაპირებზე არსებული წარწერების შესწავლის და აღწერისას გამოიყენებოდა. დღეს იგი სულ უფრო ხშირად ასოცირდება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქუჩის ხელოვნების ყველაზე გავრცელებულ და ცნობილ სახესთან, მხატვრული თვითგამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ფორმასთან, რომელის მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება რაიტერების ე.წ. „ქუჩის მწერლების“ მიერ ნებისმიერ ზედაპირებზე ამოკაწრუილი, ამოჭრილი, სხვადასხვა მასალით დაწერილი თუ დახატული გამოსახულებები, ეს იქნება ტეგი „Tag“ - რაიტერის მოკლე სტილიზებული ხელმოწერა, ესკიზი „Sketch” თუ კედლის ფრესკა „Mural“ - სრულფასოვანი, მასშტაბური ნამუშევარი.

გრაფფიტის ისტორია ლეგენდის მიხედვით 1942წ. მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან იწყება, როცა მუშა კილროიმ დეტროიტში დამზადებულ, ბომბებით სავსე ყველა ყუთზე გააკეთა წაერწერა, რომ ის იყო აქ - „Kilroy was here“, შედეგად ევროპაში დაბომბვას გადარჩენილმა ჯარისკაცებმაც დაიწყეს მსგავსი ფრაზების დატოვება კედლებზე. თუმცა თანამედროვე გაგებით, გრაფფიტი მოძრაობა დაკავშირებულია პოლიტიკური აქტივისტების და ქუჩის ბანდების (the Savage Skulls, La Familia, the Savage Nomads) საქმიანობასთან, რომლებიც ამ გზით ავრცელებდნენ იდეებს და მონიშნავდნენ თავიანთ ტერიტორიებს. მოგვიანებით,

ფილადელფიაში გამოჩნდა რაიტერების - Cornbread, Cool Earl, Topcat126 - ხელმოწერები (Tags), ეს იყო სამეული, რომელიც საფუძველს უყრიდა ამ მიმდინარეობას და ქმნიდა გრაფფიტს სრული გაგებით. 1960წ. მოძრაობა შევიდა ნიუ-ორკში და შეიძლება ითქვას „დაიპყრო“ მთელი მსოფლიო.

თუ გრაფფიტი ადრე ასოცირდებოდა ვანდალიზმთან, აღვირახსნილ ხულიგნობასთან, უგემოვნებო და აგრესიულ აქტთან, დღეს ქუჩის ხელოვნების სტატუსთ, როგორც ხელოვნების ფორმა და შეხედულებების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება, მოქნილი, ყოველისმომცველი და თავისუფალი ცენზურისგან, ერთგვარ ანონიმურ, ვიზუალურ დიალოგს აწარმოებს საზოგადოებასთან. ურბანულ სივრცეში უკვე ცნობადი გახდა გრაფფიტის ავტორების - Seen UA, Banksy, Above, Blu, Mad C, Pixnit და სხვათა ხელწერა, რომლებიც როგორც წესი იმალებიან ფსევდონიმების, მეტსახელების, კოდების და სიმბოლოების მიღმა.

თავისი ტექნიკით, ჟარგონით და სტილებით, გრაფფიტი ეს უამრავი მიმართულებები და დინებებია, რომელთაგან თითოეული ფლობს საკუთარ დამახასიათებელ ნიშნებს და ხასიათს. თუ შევეხებით გრაფფიტის ძველ (Old School) და ახალ (New School) სკოლებს, ითვლება, რომ ძველი სკოლის ყველაზე ადრეული სტილებია - „Broadway“ და „Bubble“.

„Broadway“ სტილის შემუშავება ეკუთვნის ფილადელფიელ რაიტერს - Topcat126. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი უზარმაზარი ბლოკებისგან შედგენილ, ბეჭდური ასოების შრიფტულ კომპოზიციებს - „block busters“, სადაც ასოები ჩვეულებრივ სრულდებოდა ორ ფერში და ითხოვდა მეტ დროს და ენერგიას, რაც არალეგალი მწერლებისთვის ერთგვარი შეჯიბრის წყაროც კი იყო. რაც შეეხება „Bubble“ სტილს მის სათავეებში იდგნენ რაიტერები - Super Cool და Phase2. თვით სახელწოდება „Bubble“ ასახავს შრიფტების წერის ფორმის სპეციფიკას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მომრგვალებული, გაბერილი, როგორც ბუშტები, ერთმანეთის მსგავსი ასოების და ორი ან სამი კონტრასტული ფერის გამოყენება. ამ შრიფტიდან წარმოიშვა „Trow up“ - „ნაჭრების“ სწრაფი დატანის ხერხი, რომელიც გახდა ცნობადი ნიუ-იორკელი რაიტერის I.N. - ის წყალობით. მისთვის სახასიათოა ასოების სწრაფი დაფარვა საღებავებით ან

შტრიხებით, რომელთა შორის არის ინტერვალი. ძველი სკოლის ეს ჩამოთვლილი სტილები მარტივი და წაკითხვადია, ხოლო თანამედროვე მოწოდება, ფრაგმენტაციის და ფერითი გამის წყალობით არის რთული.

ახალ სკოლას წარმოაჩენს - „Wild style“ (ველური სტილი) ან, როგორც მას უწოდებდნენ „Mechanical style“ (მექანიკური სტილი), რომელიც ხასიათდებოდა სხვადასხვა ფორმების მქონე ასოების სადა წნულით, წყვეტილი შრიფტის, ისრების და სხვა ელემენტებს შემოტანით. საზოგადოდ ითვლება, რომ ნიუ-იორკში მისი პიონერები იყვნენ Phase2 და Dondi. დღეს ველური სტილი იმდენად გართულებულია, რომ გამოცდილ რაიტერებსაც კი უჭირთ მასში გარკვევა. უკვე ყურადღება გამახვილედა კონტურის ფორმაზე, დინამიკაზე, ხოლო ასოები დატყდნენ, ერთმანეთში გადავიდნენ, გადაიხლართნენ, შემოვიდა, როგორც შეხამებული ისე შეუხამებელი, ბევრი სხვადასხვა ფერი და ელფერი. „Wild style“ - ეს ერთ - ერთი რთული სტილია გრაფფიტში და საჭიროებს დროს და სპეციალურ დახელოვნებას.

1990 წელს გამოჩნდა კიდევ ერთი რთული და დამსახურებულად პოპულარული 3D სტილი, სადაც ასოთა კონტურები განისაზღვრება მხოლოდ შუქ-ჩრდილებით, მოცულობითი შთაბეჭდილება მიიღწევა შრიფტების ჩათვლით ყველა გამოსახულების პერსპექტივაში წარმოდგენით და კედელის ფონთან კონტრასტულ არანაკლებ ოთხი ფერის გამოყენებით. ეს შთამბეჭდავი, კარგად გააზრებული, დინამიური, მრავალფეროვანი კომპოზიციები უახლოვდებიან მონუმენტურ ფერწერას და სუპერგრაფიკას, რომლებიც ხშირად საჭიროებენ შესრულების დახვეწილ ტექნიკას, საღებავების და დროის დიდ ხარჯს, ხელსაყრელ კედლებს, რაც შედეგად განაპირობებს 3D სტილის ლეგალურად ხატვას.

თანამედროვე გრაფფიტის 3D სტილს წარმოადგენენ ისეთი ცნობილი რაიტერები როგორებიცაა: Delta (Boris Tellegen ნიდერლანდები) ევროპული გრაფფიტის ერთ-ერთი პიონერი, მთელი მსოფლიოს მაშტაბით რაიტერების რამდენიმე თაობის შთაგონების წყარო, რომელიც აგრძელებს ექსპერიმენტებს სივრცესთან და ქმნის ხელოვნების ნაწარმოებებს; Daim (Mirko Reisser გერმანია)

თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გრაფფიტის მხატვართა შორის, რომელმაც იმდენად დიდი გავლენა იქონია სამგანზომილებიანი სტილის განვითარებაზე, რომ ხშირად 3D სტილი მოიხსენიება, როგორც „Daim style“. მისი ხელოვნების ნიმუშებს ძველებურად ვხვდებით „ქალაქის კედლებზე“ და სხვა კოლეგებისგან განსხვავებით პრაქტიკულად ყველა ნამუშევარზე ფსევდონიმით; Peeta (Manuel di Rita) იტალიური გრაფფიტის ცნობილი რაიტერი, რომლის სტილი და ტექნიკა სათავეს იღებს ქანდაკებიდან, სამრეწველო დიზაინიდან. იგი მისეულ ხედვას უკეთებს დემონსტრირებას სხვადასხვა ქვეყანაში, იღებს მონაწილეობას პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებში და ღონისძიებებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა რაიტერების ქმედება - სიტყვებთან ცხოველების, მულტფილმების გმირების, კომიკური ფიგურების, გამოგონილი პერსონაჟების გამოსახულებების დამატება, ხშირად შრიფტის დასაწყისში და ბოლოში. ეს გამოსახულებები დროთა განმავლობაში შრიფტებისგან განცალკევდნენ და მიიღეს გრაფფიტის დამოუკიდებელი ნიმუშების სახე. ასეთი მიმართულება მოიხსენიება, როგორც - „Characts“ და უფრო ხშირად სრულდება დაკვეთით, გლუვ და ხარისხიან ზედაპირზე, არანაკლებ ხუთი ფერის გამოიყენებით. შრიფტული კომპოზიციებისგან განსხვავებული იგი მეტად ამჟღავნებს რაიტერის შინაგან სამყაროს და მხატვრულ შესაძლებლობებს. დღეს ამის მაგალითია ცნობილი გერმანელი რაიტერის Can2 - ის ნამუშევრები, რომლებიც ბევრისთვის მიბაძვის საგანი გახდა.

გრაფფიტის განვითარებასთან ერთად ჩამოთვლილი სტილური მიმართულებების გარდა მოდურ ტენდენციად იქცა საკუთარი, საავტორო სტილის შექმნა, თუმცა არსებობენ რაიტერები, რომლებიც ფლობენ „ტრადიციულ“ სტილებს, მკაცრად იცავენ მას და ხვეწენ ტექნიკას. ეს ნაწარმოებები თანამედროვე ხელოვნების დამოუკიდებელი ჟანრია, კულტურის და ქალაქური ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია. ბევრ ქვეყანას და ქალაქს ჰყავს თავისი ცნობილი რაიტერები, რომლებიც ქმნიან ნამდვილ შედევრებს ქალაქის ქუჩებში. ჩვენს სივრცეში, თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელებსა და შენობების კედლებზე ხშირად შევხვდებით „Street art“-ს, სხვადასხვა პოზიციის გამომხატველ გრაფფიტს,

ტრაფარეტებს, სტიკერებს, პლაკატებს და ა.შ. ქუჩის მხატვრების ეს სპონტანური გამოფენა ე.წ. ურბანული ხელოვნება, ეხმიანება პოლიტიკურ, გენდერულ, სოციალურ საკითხებს და საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაციის საშუალებაა. დღეს, გარკვეულწილად საინფორმაციო ტექნოლოგიები განსაზღვრავენ გრაფფიტის ახალი ფორმების წარმოქმნას, რომლებიც თავის მხრივ, იყენებენ რა სივრცეს და არქიტექტურული ობიექტების ზედაპირებს, სთავაზობენ საზოგადოებას თვითიდენტიფიკაციის და კომუნიკაციის ახალ გზებს. შინაარსით და ხასიათით ეს სოციალური განწყობის ინდიკატორები ზეგავლენას ახდენენ არქიტექტურაზე და ქალაქის ვიზუალური იერსახის ტრანსფორმაციაზე მთლიანობაში.

გამოყენებული წყაროები:

1. ზ. კიკნაძე, ნ. ხაბეიშვილი, მ. ხაბეიშვილი., ქუჩის ხელოვნების ემოციური, სოციალური დატვირთვა და ადგილი ურბანული გარემოს ვიზუალური აღქმის კონტექსტში., ქ. თბილისი., საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "განათლება"., №2(11), 2014.
2. Медведева О. П., Искусство граффити., Ростов-на-Дону., 2005.
3. Чистякова М.Г., Стрит-арт в контексте вызовов современности., Барнаул., Известия Алтайского госуниверситета., №2/1 (70), 2011.
4. http://cyberleninka.ru/article/n/graffiti-kak-subkultura-vyzova-i-protesta (ნახვის ბოლო თარიღი 28.05.2016).
5. http://www.streetartbio.com/ (ნახვის ბოლო თარიღი 28.05.2016).
6. http://cbw.ge/georgia/amazing-street-art-in-georgia/(ნახვის ბოლო თარიღი 28.05.2016).